შპს "ჯეოსელის" (მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების ოპერატორის) ქსელში საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურების შეთავაზების წინადადება

მოწვევის ოფერტა

2017 წელი

წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულია შპს "ჯეოსელის" (შემდგომში „ჯეოსელი") ქსელში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურების შეთავაზების პირობები, რომელიც ვრცელდება ყველა ავტორიზირებულ პირზე და მიღებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 16 მაისის #345/22 გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მიზნით.

„ჯეოსელის" ქსელში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურების (შემდგომში - "მომსახურება") მიწოდება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

1. "ჯეოსელის" ქსელში საერთამორისო ზარების დასრულების მომსახურების მიწოდების მისამართებია:
- ✓ ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №16
- ✓ ქ. თბილისი, რუსთაველის 31;
- ✓ ქ. ქუთაისი, თამარ მეფის და შანიძის ქუჩების კვეთა.

2. მომსახურების მიღების მსურველი პირი (შემდგომში - აქცეპტანტი) ვალდებულია საკუთარი ხარჯითა და რისკით უზრუნველყოს ციფრული ტრაქტების მიყვანა 2 პუნქტით გათვალისწინებულ მისამართებამდე (მომსახურების მიღების წერტილ(ებ)ამდე);

3. მომსახურების მიღების მსურველი პირი ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დებულების" შესაბამისად ოფერენტის ქსელის მიმართულებით განხორციელებულ ზარებს მოაყოლოს ზარის წამომწყები აბონენტის ნომერი („ა" ნომერი). წინააღმდეგ შემთხვევაში "ჯეოსელს" უფლება ექნება არ განახორციელოს ზარების გატარება/დასრულება.

4. "მომსახურების" წერტილ(ებ)ში ტექნიკური საშუალებების გამოყენებული ინტერფეისების აღწერილობაა:
- ✓ G 703

5. "ჯეოსელის" ქსელში საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურების ტარიფები:

5.1. „ჯეოსელის" მობილურ ქსელში, მათ შორის, 514, 555, 557, 558, 577, 593 ინდექსებზე "მომსახურების" ტარიფია - ერთი წუთი, 0.22 აშშ დოლარი, აქციზის ჩათვლით.

შენიშვნა: აღნიშნული ტარიფიკაცია ასევე ვრცელდება „ჯეოსელის" ქსელში პორტირებულ საბონენტო ნომრებზე.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების პირობები იყოფა რამდენიმე კატეგორიად, კერძოდ:

6.1.1. ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე, თუ მათ მიერ "მოწვევის ოფერტის" ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში არ იქნება დარღვეული მათზე ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები ("ჯეოსელის" მიერ გაწეული მომსახურების, მათ შორის, საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურების ღირებულების საფასურის გადახდა დადგენილ ვადაში მხარეთა მიერ ხელმოწერილი შედარების აქტით ან 6.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში "ჯეოსელის" მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტით და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით დაფიქსირებული მომსახურების ღირებულების საფასურის გადახდა);

6.1.2. ანგარიშსწორების პირობები იმ ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც არ არიან ცნობილნი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე ან/და იმ

ავტორიზებულ პირებთან, რომლებიც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებად ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტ(ებ)ზე, თუ მათ მიერ "მოწვევის ოფერტის" ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში დარღვეული იქნება ("ჯეოსელის" მიერ გაწეული მომსახურების, მათ შორის, საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურების ღირებულების საფასურის გადაუხდელობა დადგენილ ვადაში_მხარეთა მიერ ხელმოწერილი შედარების აქტით ან 6.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში "ჯეოსელის" მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტით და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით დაფიქსირებული მომსახურების ღირებულების საფასურის გადაუხდელობა) მათზე ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები.

6.2. 6.1.1 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ანგარისწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად, კერძოდ:

6.2.1. მხარეებს შორის ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება გაწეული მომსახურებების შესახებ მხარეთა მიერ ხელმოწერილი შედარების აქტის ან 6.2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში შპს ,,ჯეოსელის" მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტის საფუძველზე, სრული მოცულობით, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვისა.

6.2.2. შედარების აქტში აღნიშნული უნდა იყოს მომსახურების სახეები, ინფორმაცია ტრაფიკის შესახებ წამობრივი დამრგვალებით, მხარეთა კუთვნილი თანხები და საბოლოოდ გადასახდელი თანხა. ავტორიზებული პირი "ჯეოსელს" ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უგზავნის ინფორმაციას მის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ (გაწეული მომსახურების სახის, მისი ოდენობისა და საფასურის მითითებით) არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 8 (რვა) რიცხვისა ("ჯეოსელისთვის" მონაცემების მიწოდება ხდება ელექტრუნული ფოსტის მისამართზე interconnect@geocell.ge). მეორე მხარის მიერ მონაცემების დროულად არ წარმოდგენის შემთხვევაში (ინფორმაციის წარმოუდგენლობა ან/და წარმოდგენა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 8 (რვა) რიცხვის შემდეგ) გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტის შედგენა ხდება "ჯეოსელის" მონაცემების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში, ავტორიზებულ პირს წარმოეშობა უპირობო ვალდებულება სრულად განახორციელოს ანგარიშსწორება "ჯეოსელის" მიერ ცალმხრივად ხელმოწერილი შედარების აქტის საფუძველზე. "ჯეოსელი" გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტს მეორე მხარეს უგზავნის არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა (მათ შორის, შესაძლებელია შედარების აქტის ელექტრონული სახითაც გაგზავნა), ხოლო მეორე მხარე თავისი მხრიდან ხელმოწერილ ამავე შედარების აქტის დედანის ერთ ეგზემპლარს "ჯეოსელს" უბრუნებს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა.

6.2.3. შედარების აქტის გაფომებისას მხარეთა შორის შესაძლებელია წარმოიშვას წინააღმდეგობა მათ მიერ გაწეული მომსახურებების ოდენობებზე. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მხარე წერილობითი ფორმით და წინამდებარე პუნქტის მიხედვით დადგენილი პირობების დაცვით მეორე მხარეს წარუდგენს გადაანგარიშების მოთხოვნას შედარების აქტის წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, ავტორიზებულ პირს გადაანგარიშების მოთხოვნა წარმოეშვება მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ "ჯეოსელისათვის" ინფორმაცია მიწოდებულია 6.2.2 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით (საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს რვა რიცხვისა). მხარის მიერ გადაანგარიშების მოთხოვნაში დაფიქსირებული უნდა იყოს დარიცხული თანხის რა ნაწილის ეთანხმება იგი და რას არა, რა საფუძვლით ხდის სადაოდ დარიცხულ თანხას. ასევე, გადაანგარიშების მოთხოვნას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, თუ სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს მხარის მოთხოვნის საფუძვლიანობას.

6.2.4. 6.2.3. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, თუ არსებობს წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის, ანგარიშსწორება იწარმოებს ორმხრივად შეთანხმებულ ანუ არასადავო ნაწილზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში. მეორე მხარე "ჯეოსელს" აწვდის სადავო თვის სასადგურო ჩანაწერებს და სხვა საჭირო მონაცემებს. ამასთან, სასადგურე ჩანაწერებისადმი მინიმალური მოთხოვნა არის csv ფორმატი და ველები: Date; Time; Number A; Number B; Duration. გადაანგარიშების მოთხოვნის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში შეუთანხმებელ ნაწილზე მხარეები ქმნიან ერთობლივ კომისიას, რომელიც 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში სწავლობს მხარეთა მიერ წარმოდგენილ შესაბამის დოკუმენტაციას და უზრუნველყოფს შეუთანხმებელი ნაწილის შეთანხმებას. ანგარიშსწორება განხორციელდება შეთანხმების ოქმის საფუძველზე ოქმის შედგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას თითოეული უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს. იმ შემთხვევაში, თუ მხარე უმიზეზოდ უარს ამბობს ოქმის ხელმოწერაზე ან/და შეგნებულად ხელს უშლის ერთობლივი კომისიის მუშაობას, "ჯეოსელი" "მომსახურების" საფასურის სრული ოდენობით მისაღებად უფლებამოსილია შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2.5. ყველა სხვა შემთხვევაში (მათ შორის, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ აწერს ხელს შედარების აქტს ან/და არ აბრუნებს მას დადგენილ ვადაში), ანგარიშსწორება იწარმოებს "ჯეოსელის" მიერ „კომპანიისადმი" წარდგენილი გაწეული მომსახურებების შესახებ შედარების აქტში დაფიქსირებული თანხების სრული ოდენობით წინამდებარე ოფერტითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად. ავტორიზებული პირის მიერ შედარების აქტის ხელმოწერილი დედნის უკან დაბრუნების ვადებულების დარღვევა (შედარების აქტის დაუბრუნებლობა საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვიდან 30 კალენდარულ დღეში) ითვლება წიანამდებარე "მოწვევის ოფერტის" და "მომსახურების" ხელშეკრულების არსებით დარღვევად, რა შემთხვევაშიც "ჯეოსელი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ან/და შეაჩეროს მომსახურების გაწევა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2.6. ავტორიზებული პირის მიერ, 6.2 პუნქტით განსაზღვული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, „ჯეოსელი" უფლებამოსლია დაუყოვნებლივ, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე მოსთხოვოს ასეთ პირს წინამდებარე ოფერტის 6.3 პუნქტით განსაზღვრულ პირობებზე გადასვლა. ასეთ შემთხვევაში, ავტორიზებული პირის მიერ 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების არ ან არასრულად შესრულების შემთხვევაში „ჯეოსელი" უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე გამოიყენოს ამავე ოფერტის მე-16 მუხლით მინიჭებული უფლებები.

6.3. 6.1.2 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან ანგარისწორების პირობები განსაზღვრულია ქვემოთ მოცემული პირობების შეასაბამისად, კერძოდ:

6.3.1. "მომსახურების" მიღების მსურველი ავტორიზებული პირი ვალდებულია წინასწარ, "მომსახურების" ხელშეკრულების გაფორმებამდე ან/და გაფორმების შემდეგ წერილობითი ფორმით წარუდგინოს (თვის დასაწყისამდე) „ჯეოსელს" ყოველთვიური სავარაუდო პროგნოზი (შემდგომში - პროგნოზი), მის მიერ „ჯეოსელის" ქსელში დასასრულებელი/დასატერმინირებელი წუთების ოდენობის შესახებ.

6.3.2. ავტორიზებული პირის მიერ 6.3.1 პუნქტის მიხედვით გაკეთებული პროგნოზი წარმოადგენს მის მიერ „ჯეოსელისათვის" დეპოზიტის სახით ჩასარიცხი თანხის გამოანგარიშების ძირითად საფუძველს. დეპოზიტის მინიმალური ოდენობა განსაზღვრულია 5 ათასი ლარით. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული დეპოზიტი არ არის ავანსის სახით გადახდილი თანხა. იგი არის ავტორიზებული პირის მიერ "ჯეოსელის" წინაშე ნაკისრი ყოველთვიური ფინანსური ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება, რომლის გამოყენებაც "ჯეოსელის" მიერ განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშო თვის ბოლო დღის

ჩათვლით "ჯეოსელის" მიერ ავტორიზებული პირისათვის გაწეული მომსახურების ღირებულება არ იქნება გადახდილი ავტორიზებული პირის მიერ საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. ამასთან, ავტორიზებული პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეავსოს დეპოზიტი (დეპოზიტის შევსება ხორციელდება მინიმუმ 5000 ლარით), თუ ავტორიზებული პირისათვის "ჯეოსელის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება საანგარიშო თვის განმავლობაში გაუტოლდება ან/და გადააჭარბებს დეპოზიტის სახით გადახდილი თანხის ოდენობას. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, ავტორიზებული პირის მიერ დეპოზიტის შევსების ვალდებულების კონტროლის მიზნებისათვის საანგარიშო თვის განმავლობაში ავტორიზებული პირის მიერ დეპოზიტის სახით ჩარიცხული თანხა ყოველდღიურად დარდება "ჯეოსელის" მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებას, იმ დღეს მოქმედი, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით, ხოლო გაწეული მომსახურების ღირებულების, ანაღაურების და შედარების აქტის გაფორმებისათვის (ფინანსური და საგადასახადო აღრიცხვისათვის) საანგარიშო თვის ბოლო დღეს ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

6.3.3. ავტორიზებული პირის მიერ დეპოზიტის თანხის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს "ჯეოსელის" მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

6.3.4. ავტორიზებული პირი ვალდებულია "მოწვევის ოფერტაზე" აქცეპტის გაკეთების დროს წერილობით აცნობოს "ჯეოსელს" "მომსახურების" უზრუნველსაყოფად აუცილებელი E1 რაოდენობა. კერძოდ, რომელი/რამდენი E1 იქნება გამოყენებული საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისათვის (ყოველი ცალკეული E1 მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მითითებით). დაუშვებელია ერთი კონკრეტული E1 გამოყენებული იქნას როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისათვის. საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისათვის განკუთვნილი E1-ის საშუალებით შემოსული ნებისმიერი ზარი ჩაითვლება საერთაშორისო ზარად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

6.3.5. ავტორიზებული პირი ვალდებულია 6.3.4 პუნქტის მიხედვით მოთხოვნილ თითოეულ E1-ზე "ჯეოსელს" წარმოუდგინოს საბანკო გარანტია "მოწვევის ოფერტის" პირობების (მათ შორის, "მოწვევის ოფერტის" # 1 დანართის ფორმის დაცვით) შესაბამისად.

6.3.6. ავტორიზებული პირის მიერ 6.3.5 პუნქტის მიხედვით წარმოსადგენი საბანკო გარანტიის თანხის კალკულაცია დამოკიდებულია მის მიერ საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურებისათვის მოთხოვნილი E1-ების რაოდენობაზე, კერძოდ, ყოველი ერთი E1-სთვის 6 000 აშშ დოლარი.

6.3.7. იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირი არ დაფარავს "მომსახურების" ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას ან ამ საფუძვლით "ჯეოსელი" აქცეპტანს შეუწყვეტს "მომსახურების" ხელშეკრულებას, "ჯეოსელს" ეძლევა უფლება აქცეპტანტის მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე დაიკმაყოფილოს მოთხოვნა საბანკო გარანტიის გამოყენებით.

6.3.8. ავტორიზებული პირი ვალდებულია ყოველდღიურად აკონტროლოს მის მიერ „ჯეოსელისგან" მისაღები/მიღებული "მომსახურების" მოცულობა.

6.3.9. ავტორიზებული პირი ვალდებულია დაუყონებლივ ჩაურიცხოს „ჯეოსელს" დეპოზიტის სახით თანხა, თუ მის მიერ მიღებული "მომსახურების" ღირებულება გაუტოლდება ან/და გადააჭარბებს ავტორიზებული პირის მიერ დეპოზიტის სახით უკვე ჩარიცხული თანხის ოდენობას. ამასთან, ავტორიზებული პირი ვალდებულია დეპოზიტის სახით "ჯეოსელს" ჩაურიცხოს თანხა იმ ოდენობით, რომელიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს "ჯეოსელის" მიერ გაწეული "მომსახურების" ღირებულების სრულად დაფარვას და მეორე მხრივ, იქნება საკმარისი ავტორიზებული პირის მიერ საანგარიშო თვის განმავლობაში "ჯეოსელისაგან" მისაღები მომსახურების ღირებულების დასაფარად.

6.3.10. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 6.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირებზე ასევე ვრცელდება 6.2.2-6.2.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები. გამონაკლისს წარმოადგენს ის დებულებები, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის 6.3 პუნქტით განსაზღვრულ ანგარიშსწორების პირობებთან.

6.3.11. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, 6.1.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული ავტორიზებული პირების მიერ „ჯეოსელისგან" მიღებულ "მომსახურებაზე" თანხების გადახდის ვალდებულება ჯეროვნად შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ დღიდან, როდესაც ავტორიზებული პირის მიერ გადახდილი თანხა აისახება/ჩაირიცხება „ჯეოსელის" საბანკო ანგარიშზე ან/და „ავტორიზებული პირის მიერ „ჯეოსელისათვის" წარდგენილია თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დადგენილი წესით დადასტურებული საბანკო დაწესებულების მიერ).

6.4. ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში, "ჯეოსელი" უფლებამოსილია აქცეპტანტს დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, აქცეპტანტის მიერ ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში დაიფარება პირგასამტეხლო/ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდეგ – ძირითადი დავალიანება.

6.5. პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს "ჯეოსელის" უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს დარიცხვა ხორციელდება ვალდებულების დარღვევის დღიდან, თუ მხარეთა სპეციალური შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. "ჯეოსელი" უფლებამოსილია წინამდებარე ოფერტით და მის საფუძველზე ჯაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება/სანქციები, რომლებიც წარმოშობილია აქცეპტანტის მხრიდან ვალდებულებების დარღვევის შედეგად, თავისი შეხედულებისამებრ გამოიყენოს როგორც ცალ–ცალკე, ასევე ერთობლივად.

6.6. ფინანსური ვალდებულების დარღვევაში იგულისხმება დადგენილ ვადაში აქცეპტანტის მიერ "ჯეოსელისათვის" თანხის გადაუხდელობა ან/და არასრულად გადახდა.

6.7. ანგარიშსწორება ხორციელდება ყველა განხორციელებულ ზარზე, მიუხედავად ზარის წამომწყები აბონენტის ადგილმდებარეობისა. "ჯეოსელის" მიერ განხორციელებული ზარების დამრგვალება ხდება ერთი წამის სიზუსტით.

6.8. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას მათ მიერ გაწეულ მომსახურებაზე მოახდინონ მეორე მხარისათვის დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა წინააღმდეგობა მხარეების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

7. "მომსახურების" მიწოდებაზე, მსურველი პირისგან აქცეპტის თაობაზე განაცხადის განხილვის პირობები და პროცედურები

7.1. "მომსახურების" ხელშეკრულების დადების მსურველი პირი წერილობითი ფორმით, განაცხადით მიმართავს "ჯეოსელს" (განაცხადი ბარდება "ჯეოსელის" ცენტრალურ ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, გოთუას ქ.#3 (მტკვრის მარჯვენა სანაპირო)) და ელექტრონული ფორმით შემდეგ მისამართზე - interconnect@geocell.ge ;

7.2. განაცხადში მითითებული უნდა იყოს "მომსახურების" გასახორციელებლად აუცილებელი ინფორმაცია, მათ შორის: ავტორიზებული პირის ქსელის აღწერა, სავარაუდო ტრაფიკის მოცულობა (პროგნოზი), სიგნალიზაციის ტიპი, გამოყენებული ინტერფეისი, ტარიფები, ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვ...

7.3. განაცხადთან ერთად ავტორიზებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) მოთხოვნილ მომსახურებაზე ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, გაცემული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) გასააქტიურებელი ნუმერაციის რესურსის სალიცენზიო მოწმობის ასლი ან/და ნებართვის ასლი ან/და სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ ნუმერაციის ფლობის ფაქტს;

ე) წინამდებარე ოფერტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

ვ) განმცხადებლის მიერ „ჯეოსელის" წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები, კერძოდ:

- გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა სულ მცირე უნდა შეადგენდეს ექვს თვეს. ამასთან, საბანკო გარანტიის ვადის ამოწურვამდე 30 დღით ადრე, ავტორიზებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს ახალი საბანკო გარანტია ან/და გააგრძელოს მოქმედი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა სულ მცირე შემდგომი ექვსი თვით, თუ ავტორიზებულ პირს გადაწყვეტილი აქვს "ჯეოსელთან" "მომსახურების" მიღება. ამასთან, წინამდებარე გარანტიასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, ღირებულება, საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს განმცხადებელი/აქცეპტანტი.
- "ჯეოსელის" საბანკო ანგარიშზე (სს „თიბისი ბანკი", ბ/კ TBCBGE22, ა/ა GE64TB0600000077467777) დეპოზიტის ჩარიცხვის დამადასტურებელი ქვითარი. ზემოთ აღნიშნული დეპოზიტის ოდენობა დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ „ჯეოსელის" ქსელში ან/და მისი გავლით დასატერმინირებელი/დასასრულებელი წუთების რაოდენობაზე/ღირებულებაზე, რომელიც ასახული უნდა იყოს განმცხადებლის მიერ გაკეთებულ „პროგნოზში". ამასთან, წინამდებარე დეპოზიტთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის (მათ შორის, გადარიცხვის საკომისიო და ა.შ.) გაწევას უზრუნველყოფს განმცხადებელი;

7.4. განმცხადებელს განაცხადის გაკეთების მომენტისათვის არ უნდა გააჩნდეს „ჯეოსელის" წინაშე შესასრულებელი ფინანსური ვალდებულება/დავალიანება (სრულად ანაზღაურებული უნდა იყოს "ჯეოსელის" მიერ წარდგენილი მოთხოვნები, მათ შორის, დაფიქსირებული შედარების აქტით, ინვოისით, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, რომელიც გულისხმობს, მაგრამ არ შემოფარგლება "მოწვევის ოფერტის" ძალაში შესვლამდე არსებულ პერიოდს), გარდა იმ შემთხვევისა, თუ ავტორიზებულ პირთან არ არსებობს შეთანხმება დავალიანების გადახდაზე.

7.5. განმცხადებლის მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში "ჯეოსელი" შეისწავლის აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და წერილობითი განცხადება მე-7 მუხლში დაფიქსირებულ მოთხოვნებს. თუ კი განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს ხსენებული პუნქტებით დაფიქსირებული რომელიმე მოთხოვნიდან ერთ-ერთს ან/და გააჩნია დავალიანება "ჯეოსელის" მიმართ, მას ეცნობება ამის შესახებ და ჩაითვლება რომ განმცხადებლის მიერ აქცეპტი არ გაკეთებულა.

7.6. თუ განმცხადებელი აკმაყოფილებს მე-7 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მას განაცხადის და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 9 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა "მომსახურების" ხელშეკრულების პროექტი ან/და ელექტრონული სახით გადაეგზავნება მის მიერ განაცხადში მითითებულ მისამართზე.

7.7. "მომსახურების" ტექნიკური უზრუნველყოფის/ხელშეკრულების გაფორმების ვადების ათვლა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 7.2 და 7.3 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაცია აქცეპტანტის მიერ "ჯეოსელისათვის" წარდგენილია როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე წერილობით.

8. "მომსახურების" მიწოდების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმების ვადა

მოწვევის ოფერტაზე მსურველი პირის მიერ განაცხადის წარმოდგენის თარიღიდან – 20 კალენდარული დღე.

9. "მომსახურების" მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურები და პირობები

დამატებითი სიმძლავრე შეიძლება გამოეყოს მხოლოდ "მომსახურების" მიმღებ ოპერატორს. ასეთი მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იქნას წერილობითი ფორმით, შესაბამისი დასაბუთებით (მათ შორის, ტრაფიკის ანალიზი).

10. "მომსახურების" მიწოდებასთან დაკავშირებული რესურსებისა და დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის ვადა

დამატებითი სიმძლავრის გამოყოფის ვადაა მოთხოვნიდან 20 კალენდარული დღე. ეს ვადა იმოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი სიმძლავრის უზრუნველყოფა არ მოითხოვს არსებულ ქსელში ტექნიკური საშუალებების დამატებას.

11. "მომსახურების" მიწოდებისათვის საჭირო კონკრეტული თანალოკაციის ფართების მისამართები:

- ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ. №16
- ქ. თბილის, რუსთაველის 31;
- ქ. ქუთაისი, თამარ მეფის და შანიძის ქუჩების კვეთა

შენიშვნა: თანალოკაციის ფართი შეიძლება არ იყოს „ჯეოსელის" საკუთრებაში, თუმცა ეს ფაქტი არ ზღუდავს ავტორიზებულ პირს სხვა პირთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე, ისარგებლოს შესაბამისი თანალოკაციის ფართით ზემოთ აღნიშნულ მისამართებზე.

12. თანალოკაციის ფართით სარგებლობის პირობები

თანალოკაციის ფართით სარგებლობის შესახებ "ჯეოსელსა" და მსურველ ავტორიზებულ პირს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ავტორიზებული პირისათვის თანალოკაციის ფართის გამოყოფის საფუძველია მხარეებს შორის მოქმედი "მომსახურების" ხელშეკრულება და ტერმინალის განთავსების ორმხრივად შეთანხმებული სქემა. აპარატურის განთავსების, აგრეთვე აპარატურის მოხსნის შემთხვევაში მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

13. თანალოკაციის ფართზე "მომსახურებისათვის" აუცილებელი აპარატურის განთავსების პირობები

13.1. "მომსახურებისათვის" გამოყენებული ტერმინალი (შიდა ბლოკი) უნდა თავსდებოდეს სტანდარტულ 19 დიუიმიან დგარზე, ხოლო მისი სიმაღლე და სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 40სმ-ს;
13.2. მოხმარებული ელექტროენერგიის სიმძლავრე არ უნდა აღემატებოდეს 150 ვტ-ს;
13.3. "ჯეოსელი" უზრუნველოფს ცვლადი დენის (AC) ელექტროკვებას 220 ვოლტი ძაბვით და 50 ჰერცი სიხშირით, აგრეთვე თანალოკაციის ფართის სათანადო კონდიცირებას.

14. თანალოკაციის ფართზე დაშვების პირობები

14.1. თანალოკაციის ფართზე ავტორიზებული პირის წარმომადგენელი დაიშვება მხოლოდ "ჯეოსელთან" წინსაწარი შეთანხმებით და "ჯეოსელის" ან "ჯეოსელის" შესაბამის კონტრაქტორის წარმომადგენლის თანდასწრებით;

14.2. ინფორმაცია დაშვების ყოველი შემთხვევის შესახებ აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში, რომელშიც მიეთითება ავტორიზებული პირის წარმომადგენლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის დასახელება, ნომერი და თარიღი, დაშვების მიზანი, შესრულებული სამუშაო. ჩანაწერი დასტურდება "ჯეოსელის" წარმომდგენლისა და თანალოკაციის ფართზე დაშვებული პირის ხელმოწერით.

14.3. თანალოკაციის ფართით სარგებლობის, ელექტროენერგიით უზრუნველყოფისა და კონდიცირების საფასური თვეში შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

15. ექსტრაორდინალურ და ფორს-მაჟორულ შემთხვევებთან დაკავშირებული პირობები და მხარეთა ურთიერთვალდებულებები

15.1. "ჯეოსელმა" და მისგან "მომსახურების" მიმღებმა ოპერატორმა 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის სარემონტო ან სხვაგვარი სამუშაობის ჩატარების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს "მომსახურების" შეფერხება.

15.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ერთმანეთს მათი ქსელის ყველა იმ დაზიანების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს "მომსახურების" მიწოდებაზე. მხარეები ვალდებულნი არიან დაზიანების პერიოდში ერთმანეთს შესთავაზონ ალტერნატიული გზები ტრაფიკის გასატარებლად, ასეთი ალტერნატიული საშუალებების არსებობის შემთხვევაში.

15.3. მხარები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის „დაუძლეველი ძალის"/"ფორს მაჟორის" მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

15.4. "დაუძლეველი ძალის"/"ფორს მაჟორის" ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა, თუ ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

15.5. „დაუძლეველი ძალის"/"ფორს მაჟორულ" გარემოებებს მიეკუთვნება სტიქიური უბედურებები (წყალდიდობა, მიწისძვრა, დიდთოვლობა და სხვა), აფეთქებები (მათ შორის, ტერორისტული, თუ დივერსიის აქტები), საომარი მოქმედებები (მათ შორის, სამოქალაქო არეულობები და გაფიცვები), ხელისუფლების ისეთი აქტები, რაც არსებითად აფერხებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და სხვა.

15.6. თუ ზემოხსენებულმა გარემოებებმა უშუალოდ იმოქმედეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადებზე, მაშინ ეს ვადები ამ გარემოებების მოქმედების დროის თანაბარზომიერად გაიზრდება. მხარემ, რომლისთვისაც ფორს მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი გახდა ვალდებულების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღისა ამ გარემოებების დადგომიდან ან დასრულებიდან, შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით.

16. "მომსახურების" მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

16.1. "მოწვევის ოფერტის" 6.1.2 პუნქტით განსაზღვრული პირებისათვის "ჯეოსელი" მომსახურების გაწევს უზრუნველყოფს დეპოზიტის თანხის ამოწურვამდე. დეპოზიტის თანხის ამოწურვის (ასევე მისი გახარჯვის ან საერთოდ არ წარმოდგენის) შემთხვევაში "ჯეოსელი"

კომისიის თანხმობის გარეშე შეაჩერებს მომსახურებას (მათ შორის, შეწყვეტს საერთაშორისო ზარის დასრულების მომსახურებას) და ავტორიზებული პირის მხრიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში დეპოზიტის თანხის შეუვსებლობის შემთხვევაში, შეწყვეტს ხელშეკრულებას. ამასთან, "ჯეოსელი" არ იღებს ვალდებულებას დეპოზიტის ამოწურვისთანავე, დაუყოვნებლივ შეაჩეროს "მომსახურება". შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია, სრულად და უპირობოდ გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულებაც, რომელსაც იგი ფაქტობრივად მიიღებს დეპოზიტის თანხის ამოწურვის (ასევე მისი გახარჯვის ან საერთოდ არ წარმოდგენის) შემდეგ.

16.2. აქცეპტანტის მიერ დეპოზიტის შევსების შემთხვევაში მომსახურების აღდგენა მოხდება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. ვადის ათვლა დაიწყება "ჯეოსელის" მიერ წინასწარ დათქმულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის განხორციელების მომდევნო სამუშაო დღიდან. სხვა საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა არ განიხილება დეპოზიტის შევსებად.

17. "მომსახურების" მიწოდების შესაბამისი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავების განხილვის წესი:

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა განხილული და გადაწყვეტილი იქნება სასამართლოს მიერ, ამასთან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყონებლივ აღსასრულებლად. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია განიხილავს მხოლოდ იმ დავებს, რომელთა განხილვაც „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად წარმოადგენს მისი უფლებამოსილების სფეროს.

18. ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და "მომსახურების" მიწოდების უსაფრთხოების დაცვა

18.1. ავარიის შემთხვევაში (ანუ მხარეთა ტექნიკური საშუალებების ისეთ დაზიანება, რაც არ არის გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოებებით), მხარე, რომლის ტექნიკური საშუალებებიც გამოვიდნენ მწყობრიდან დაუყოვნებლივ ატყობინებს მეორე მხარეს ავარიის შესახებ და იღებს ყველა ზომას, რათა მინიმალურ ვადებში აღმოფხვრას ავარიის შედეგები და აღადგინოს "მომსახურება" კონკრეტულ ან ყველა "მომსახურების" მიწოდების წერტილში.

18.2. აქცეპტანტი იღებს ვალდებულებას, რომ მისი აპარატურა და დანადგარები, რომლებიც მიერთებული იქნებიან "ჯეოსელის" აპარატურასთან, იქნება თავსებადი, არ დააზიანებს "ჯეოსელის" აპარატურას ან/და არ გამოიწვევს "ჯეოსელის" ქსელის ნორმალური ფუნქციონირების საზიანო ხელშემლას, არ გამოიწვევს რეალური ინფორმაციის მოდიფიკაციას ან დამატებითი ინფორმაციის წარმოქმნას, რაც ხელს შეუშლის მიწოდებული მომსახურების შესახებ ჭეშმარიტი სურათის დადგენას.

18.3. მოწვევის ოფერტის 18.2 პუნქტში მითითებული გარემოებების დადგომისას, თუ სხვა საშუალებით საფრთხის არიდება შეუძლებელია, მხარე შეაჩერებს "მომსახურებას" და დაუყოვნებლივ მიიღებს ყველა ზომას ხელისშემშლელი ფაქტორების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში მხარეები შექმნიან ერთობლივ კომისიას. საზიანო ხელშემლა გულისხმობს ხელშემლას, რომელიც საზიანო (მავნე) ზეგავლენას ახდენს მხარის კუთვნილი ქსელის ელემენტებზე, აპარატურაზე, მოწყობილობებზე, ბოლო მომხმარებლის ტერმინალურ მოწყობილობებზე და ნებისმიერ საგანზე, რომელიც შეაფერხებს "მომსახურებას" ან დაუკარგავს ხარისხს ან გამოიწვევს "მომსახურების" გაწყვეტას ან რაიმე სახის ზეგავლენას მოახდენს ქსელის უსაფრთხოებაზე ან საფრთხეს შეუქმნის მის გამართულ ფუნქციონირებას და ურთიერთოპერაბელურობას.

18.4. "მომსახურების" მიღების მსურველი ან "მომსახურების" მიმღები ავტორიზებული პირი იძლევა გარანტიას და იღებს ვალდებულებას, რომ არ გამოიყენებს წინამდებარე

ოფერტით გათვალისწინებულ ქსელთან დაშვებას, "ჯეოსელის" ან მესამე ოპერატორის ქსელის მიმართულებით სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელებისათვის. პირი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს ზარის წამომწყები აბონენტის ნომრის (ა ნომერი) "ჯეოსელისათვის" გამჭირვალედ გადაცემა.

18.5. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად და ოპერატიული რეაგირების მიზნით, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც "ჯეოსელს" გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიწოდებული „მომსახურება" გამოყენებულია „ფროდის" მიზნით ან დაკავშირებულია „ფროდთან", "ჯეოსელი" იტოვებს უფლებას შეაჩეროს ზარების მიღება, რის შესახებაც ოპერატიულად აცნობებს კომისიას. ასეთ შემთხვევაში, ფროდთან ასოცირებული ტრაფიკი ჩაითვლება საერთაშორისო ტრაფიკად და დაერიცხება შესაბამისი საფასური.

18.6. იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირი საერთაშორისო ზარს განახორციელებს ლოკალური ზარებისთვის განკუთვნილი ეროვნული ფორმატით ან/და ლოკალური ზარებისთვის განკუთვნილი არხებით, "ჯეოსელი" უფლებამოსილია შეაჩეროს ტრაფიკის გატარება და საერთაშორისო ზარისთვის გათვალისწინებული ტარიფის დარიცხვის გარდა, დაარიცხოს აქცეპტანტს ჯარიმა ასეთი ზარის ღირებულების (საერთაშორის ზარის ტარიფით) ოცმაგი ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, აქცეპტანტი რეგრესის წესით აუნაზღაურებს "ჯეოსელს" ყველა იმ დანახარჯს, საურავს, სანქციას, ჯარიმას, ზარალს, რომლის გადახდაც მოუწევს "ჯეოსელს" სახელმწიფო ან კერძო სტრუქტურებისთვის მის სისტემაში ასეთი ზარის გატარებისათვის და აღნიშნულის თაობაზე ეცნობება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

18.7. წინამდებარე ოფერტის მიზნებისთვის, „ფროდი" განიმარტება, როგორც ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე, ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც იძლევა მომსახურებისთვის დაწესებული მომსახურების ღირებულების გადახდისაგან თავის არიდების შესაძლებლობას.

19. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა და მასში ცვლილებების განხორციელების პირობები

19.1. მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა – "მოწვევის ოფერტის" კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნების დღიდან 2019 წლის 01 იანვრამდე. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე მოწვევის ოფერტის ამოქმედების დღიდან ყველა ავტორიზებული პირი, ვისაც სურს საერთაშორისო ზარების "ჯეოსელის" ქსელში დასრულების მომსახურების მიღება ვალდებულია იმოქმედოს წინამდებარე "მოწვევის ოფერტის" პირობების, მათ შორის, მე-7 მუხლის პირობების დაცვით.

19.2. "ჯეოსელის" ინიციატივით მის მიერ განხორციელებულ მომსახურებაზე პირობების ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს ცალმხრივად, აქცეპტანტისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ცვლილების განხორციელებამდე მინიმუმ 1 (ერთი) კვირით ადრე მაინც. შეტყობინებას უთანაბრდება კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში მხარის მიერ ტარიფების გამოქვეყნება „კომისიის" ვებ–გვერდზე. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესით „ოფერტის" პირობის ცვლილება უთანაბრდება აქცეპტანტთან გაფორმებულ "მომსახურების" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას.

19.3. თუ აქცეპტანტი არ ეთანხმება ოფერტის პირობის ცვლილებას, იგი ვალდებულია წერილობით აცნობოს "ჯეოსელს" წინამდებარე ოფერტის 19.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. აღნიშნული ქმედება განხილულ იქნება როგორც უარი მომსახურების მიღებაზე, შესაბამისად, ოფერენტი უფლებამოსილია დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეაჩეროს/შეწყვიტოს ხელშეკრულება წინამდებარე "ოფერტით" განსაზღვრულ მომსახურებაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

19.4. თუ წინამდებარე ოფერტის 19.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში აქცეპტანტი წერილობითი ფორმით არ განაცხადებს უარს "ჯეოსელის" მიერ განსახორციელებელ ცვლილებაზე, ჩაითვლება, რომ აღნიშნული ცვლილება აქცეპტანტის მიერ მიღებულ იქნა უპირობოდ.

პაველ სმალინსკი
გენერალური დირექტორი

"მოწვევის ოფერტის" #1 დანართი
(საბანკო გარანტიის ფორმა)

საბანკო გარანტია #

თბილისი

[რიცხვი] [თვე] [წელი]

გარანტი: ---------- (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: ----------
გარანტის მისამართი: ----------
პრინციპალი: ---------- (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: ----------
პრინციპალის მისამართი: ----------
ბენეფიციარი: შპს ჯეოსელი (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 203841940
ბენეფიციარის მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გოთუას ქ. #3
საგარანტიო თანხა: ----------

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბენეფიციარის მოწვევის ოფერტის საფუძველზე, პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის უნდა გაფორმდეს ურთიერთჩართვის/ საერთაშორისო ზარების დასრულების მომსახურების ხელშეკრულება და პრინციპალი ბენეფიციარისგან მიიღებს ზარის (მათ შორის, საერთაშორისო ზარის) დასრულების მომსახურებას (შემდგომში „მომსახურება"). პრინციპალი ვალდებულია ბენეფიციარს წარუდგინოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გარანტია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებითა და „პრინციპალის" დავალებით, ჩვენ, ----------, მდებარე მისამართზე ----------, ვკისრულობთ უპირობო და გამოუთხოვად ვალდებულებას, აგინაზღაუროთ ბენეფიციარს ნებისმიერი თანხა ან თანხები, მაგრამ არაუმეტეს ჯამში ---------- აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადარიცხვის დღეს დადგენილი მოქმედი აშშ დოლარი/ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად) ოდენობით ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე, აღნიშნული მოთხოვნის მიღების თარიღიდან არაუგვიანეს (3) სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

საბანკო გარანტიის მაქსიმალური თანხაა ---------- აშშ დოლარი.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის აბაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნას ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს მოთხოვნილი თანხა, საბანკო რეკვიზიტები და ის გარემოება რომ პრინციპალმა არ შეასრულა თავისი ვალდებულებები.

საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან და მოქმედების ვადა არის[რიცხვი] [თვე] [წელი]-მდე. აღნიშნულიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა უნდა იყოს წარმოდგენილი აღნიშნულ თარიღის ჩათვლით მისამართზე: ----------

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა საბანკო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და მათი გარანტისათვის დაბრუნებისას.

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

[უფლებამოსილი პირის ხელმოწერა]